საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

2023

იანვარი, თებერვალი, მარტი

WWW.GNFC.GE

კონკურსები

მიმდინარე კონკურსები

მხატვრული მრავალსერიანი ფილმის (3-5 ეპიზოდი) წარმოების დაფინანსების კონკურსის II ეტაპი.

დასრულდა

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის წარმოების დაფინანსების კონკურსი, დაფინანსდა კონკურსის მონაწილე შემდეგი პროექტები:

- „უსიერ ტევრში“ – (პროდიუსერი – შპს „სინეტექი“ რეჟისორი – ნინო ახვლედიანი);
- „სიმონ ჯაშის ცხოვრება“ – (პროდიუსერი - შპს „მილიმეტრ ფილმი”, რეჟისორი – დიმიტრი მამულია);
- „მეორეხარისხოვანი როლი“ – (პროდიუსერი – შპს ,, ზაზა ფილმსი“ , რეჟისორი – ანა ურუშაძე).

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2023 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი, დაფინანსდა კონკურსის მონაწილე შემდეგი პროექტები:

- „ოჰ დედა, დედა“ - პროდიუსერი: შპს „გლაბერ“ (რეჟისორი: ხათუნა ტატუაშვილი);
- „ლომის ახალი ფაფარი“ - პროდიუსერი: ი/მ ანა ჩუბინიძე (რეჟისორი: ანა ჩუბინიძე).

დასრულდა დოკუმენტური ფილმის 2023 წლის წარმოების კონკურსი, დაფინანსდა კონკურსის მონაწილე შემდეგი პროექტები:

- „9 თვიანი კონტრაქტი“ – პროდიუსერი: შპს „1991 ფროდაქშენი“ (რეჟისორი: ქეთევან ვაშაგაშვილი);
- „ქართლი“ – პროდიუსერი: ააიპ „საქდოკ ფილმი“ (რეჟისორი: თამარ კალანდაძე);
- „ტალახის პრინცესა“ – პროდიუსერი: შპს „რადიუმ ფილმსი“ (რეჟისორი: მედეა ჭოლოკავა);
- „მეტალურგი“ – პროდიუსერი: შპს „ვარს - სტუდიო“ (რეჟისორი: გიორგი ვარსიმაშვილი);
- „არავინ არ ჩანს“ – პროდიუსერი: შპს „პარაშუტი“ (რეჟისორი: კონსტანტინე კალანდაძე);
- „კუპალბა“ – პროდიუსერი: ააიპ „ლეველ2ფილმს“ (რეჟისორი: ვანო თვაური);
- „კომფორტის ლიმიტი“ – პროდიუსერი: ი/მ ალექსანდრე ქორიძე (რეჟისორი:ალექსანდრე ქორიძე);
- „ნისლიანი ბილიკები“ - პროდიუსერი: შპს „შემოქმედებითი გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“.

ფილმწარმოება

“წმინდა ელექტროენერგია“

“საჭესთან“

მოსამზადებელ პერიოდშია:

- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,დროებითი ჭერი'' (პროდიუსერი - შპს ,,ნათურა ფილმი'', რეჟისორი - გიორგი ქობალია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აკვარიუმი“ (პროდიუსერი - შპს „ს.ს.ს.“, რეჟისორი - თორნიკე ბზიავა).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ქალაქის ხმაური'' (პროდიუსერი - შპს „თეიქს ფილმი“, რეჟისორი - პაპუნა მოსიძე).
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანატორი: მკვდრების სოფელი'' (პროდიუსერი - შპს „სიბლერ ფროდაქშენი'', რეჟისორი - გიორგი გოგიჩაიშვილი)
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მთვარე მამაა ჩემი“ (პროდიუსერი - შპს ,,ვაგონეტი'', რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წყლების მაღაზია'' (პროდიუსერი - შპს ,,სტუდია - 99'', რეჟისორი - შტეფან ტოლცი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რაც ღმერთს სწამდა“ (პროდიუსერი - შპს ,,მიდი ფილმი'', რეჟისორი - მარინე გულბიანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,Dark Star'' (პროდიუსერი - შპს ,, 20 steps production'', რეჟისორი - ალექსანდრე ცაბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ცრემლსადენი გაზი'' (პროდიუსერი - შპს ,,1991 ფილმ ფროდაქშენ'', რეჟისორი - უტა ბერია).

“აღარ შემიძლია“

“მჩხიბავი“

გადაღების პერიოდშია:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ჩვენი სიყვარულის მერე'' (პროდიუსერი - შპს ,,12'' თედო დოლიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ცივი ღრუბლები“ (პროდიუსერი - შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions)“, რეჟისორი - კახა კიკაბიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ვაკუუმი“ (პროდიუსერი -- შპს „12“ თედო დოლიძე, რეჟისორი - თედო დოლიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ჩამომყრელი'' (პროდიუსერი - შპს ,,ნაკაშიძე'', რეჟისორი - ლევან ნაკაშიძე);
- მოკლე მხატვრული ფილმის წარმოება „მილი“ (პროდიუსერი - შპს “12” რეჟისორი - შალვა სოყურაშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ძაფი'' (პროდიუსერი - შპს „ფილმ ასილუმი'', რეჟისორი - ლევან სიხარულიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აფრიკა'' (პროდიუსერი - შპს „კინო არქიტექტურის ოფისი“, რეჟისორი - რატი ჯებაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წმინდა ელექტროენერგია'' (პროდიუსერი - შპს „ზანგო სტუდია'' , რეჟისორი - ვახტანგ კოტეტიშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმო“ (პროდიუსერი - შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს'', რეჟისორი - გიორგი ჩალაური);
- დოკუმენტური ფილმი „მუღამათი“ (პროდიუსერი - ი/მ თამთა გაბრიჩიძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - თამთა გაბრიჩიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თხილი'' (პროდიუსერი - შპს „იბერიკა ფილმი“, რეჟისორი - ლევან კოღუაშვილი);

- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი ,,სატრფიალო პასტორალი" (პროდიუსერი - შპს ,,თთფილმი'', რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ტერცო მონდო'' (პროდიუსერი - ს.ს ,,ქართული ფილმი'', რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხმელი ფოთოლი" (პროდიუსერი - ი/მ ალექსანდრე კობერიძე, რეჟისორი - ალექსანდრე კობერიძე);

პოსტ-პროდუქციის პერიოდშია:

- დოკუმენტური ფილმი ,,კავკასიონის ხუთი ხედი'' (პროდიუსერი - შპს „ეკო ფილმს" (EcoFilms), რეჟისორი - ნიკა წიკლაური);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ჩატვირთვა'' (პროდიუსერი – შპს „დიგითალ ქითჩენ ფილმსი'', რეჟისორი – გიორგი წილოსანი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პანოპტიკონი'' (პროდიუსერი - შპს „20 სთეფს ფროდაქშენი (20 steps productions)", რეჟისორი - ჯორჯ სიხარულიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ასეთი ხანგრძლივი არ ყოფნა'' (პროდიუსერი - შპს ,,პარაშუტი'' , რეჟისორი - ირინე რურუა).
- დოკუმენტური ფილმი „შაქრო-ცხენი, ზორო, ფანტომასა და ტაისონა'' (პროდიუსერი - შპს „პალესტრა", რეჟისორი - თეიმურაზ ცავა);
- დოკუმენტური ფილმი ,,ბოლო ზარი'' (პროდიუსერი - შპს ,,ნათურა ფილმი", რეჟისორი - ბესო (გივი) ოდიშარია;
- დოკუმენტური ფილმი „რაც თავი მახსოვს" (პროდიუსერი - შპს „ფორმო", რეჟისორი - მაკა გოგოლაძე);
- მცირებიუჯეტიანი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღარ შემიძლია'' (პროდიუსერი - შპს „პარაშუტი", რეჟისორი - ეკატერინე ჭელიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი" (პროდიუსერი - ფ/პირი გელა კანდელაკი, რეჟისორი - გელა კანდელაკი) (პროექტი პრობლემურია);
- დოკუმენტური ფილმი ,,ოცნება კადილაკზე'' (შპს ,,პარაშუტი, რეჟისორი - ელენე მიქაბერიძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,კორიდა'' (პროდიუსერი - შპს ,,ტერა ინკოგნიტა ფილმს'', რეჟისორი - გიორგი სამსიანი);
- დოკუმენტური ფილმი „მჩხიბავი" (პროდიუსერი - შპს „ბი აი თი სტუდია", რეჟისორი - ანა კვიჭიძე);



“როცა 17 წლის ხარ“

“ხმელი ფოთოლი“

- ქართულ-უცხოური წარმოების სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ანტიკვარიატი'' (პროდიუსერი - შპს „სინეტექი“, რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,ზამთრისპირის სევდა'' (პროდიუსერი - შპს „ფილმ ასილუმ'' (Film Asylum), რეჟისორი - აკაკი შანშიაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,როცა 17 წლის ხარ'' (პროდიუსერი - შპს ,,ტერა ინკოგნიტო ფილმს'', რეჟისორი - გიორგი მუხაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ველი'' (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი'', რეჟისორი - გიორგი ცქვიტინიძე);
- დოკუმენტური ფილმი „თბილისის ომი“ (პროდიუსერი და რეჟისორი - ინდ/მეწარმე იოსებ დუმბაძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჰაერი ლურჯი აბრეშუმია'', (პროდიუსერი - შპს „კედარი“, რეჟისორი -- ირინე ჟორდანია);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წესების დაცვით'' (პროდიუსერი - შპს ,,მალჰოლანდ ფილმი'', რეჟისორი - დოვერ ქოსაშვილი);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,მოქალაქე წმინდანი'' (პროდიუსერი - შპს ,,არტიზმი'' , რეჟისორი - თინათინ ყაჯრიშვილი);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აუზი“ (პროდიუსერი – შპს „ტერა ინკოგნიტო ფილმს“, რეჟისორი – სალომე ლაცაბიძე);
- სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მომთაბარე'' (პროდიუსერი - შპს ,,პანსიონატი'', რეჟისორი - ირაკლი მეტრეველი);
- დოკუმენტური ფილმი „სიცოცხლეში დაბრუნება'' (პროდიუსერი - შპს „3003 ფილმ ფროდაქშენი“, რეჟისორი - ლანა ღოღობერიძე).

სცენარისა და პროექტის განვითარება

განვითარების პროცესშია:

- „მეათე მოწმე“ – (საპროდიუსერო კომპანია – შ.პ.ს. „ითს სტუდიო“ (Its STUDIO), სცენარის ავტორი გიგა ლიკლიკაძე);
- „კახაბერი'' – (პროდიუსერი – ინდ/მეწარმე “გიორგი გეთიაშვილი”, სცენარის ავტორი – გიორგი გეთიაშვილი);

დასრულდა:

- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,საჭესთან'' (პროდიუსერი - შპს ,,ზუჩი ფილმის'', რეჟისორი - გრიგოლ ჯანაშია);
- დოკუმენტური ფილმი „შოთას და დანარჩენ 99-ს მოსწონს ეს“ (პროდიუსერი - ააიპ საავტორო ფილმების სტუდია, რეჟისორი - ერეკლე ინაშვილი).
- ანიმაციური ფილმი ,,განდეგილი” (პროდიუსერი - შპს,,შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი'', რეჟისორი - დათო კიკნაველიძე);
- დოკუმენტური ფილმი „ვიდინოთ“ (პროდიუსერი - ააიპ „საქდოკ ფილმი, რეჟისორი - სოფიო მედოიძე);
- დოკუმენტური ფილმი „მწარე შაქარი“ (პროდიუსერი - ააიპ „ბავშვთა და მოზარდთა ჰარმონიული განვითარების ცენტრი“, რეჟისორი - ანა ბარჯაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ,,სავსე სიცარიელე'' (პროდიუსერი - შპს ,,სტუდია+1'', რეჟისორი - ირინე ჯავახიძე);
- სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ლევანი და გივი'' (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“, რეჟისორი - ბაკურ ბაკურაძე);
- მოკლე მხატვრული ფილმი „ალდი“ (პროდიუსერი - შპს ,,ბრინგო” რეჟისორი - გიორგი არაბული);
- დოკუმენტური ფილმი „რეკვიემი ზაფხულის სიცხიან დღეებს“ (პროდიუსერი - ააიპ „ათიკ პროდაქშენი'', რეჟისორი - გიორგი ფარქოსაძე);
- მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მკვდარი“ (პროდიუსერი -- შპს „ახალი ქართული ფილმი'' ნიკოლოზ აბრამაშვილი, რეჟისორი - გიორგი ანთიძე).

საქართველო ბერლინის 73-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე

ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ევროპული კინობაზრობის ფარგლებში, საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა მეთვრამეტედ წარადგინა საქართველოს სტენდი, სადაც კინოცენტრის გუნდი ინდუსტრიული კუთხით მუშაობდა.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალის ერთ-ერთი სექციის - „Encounters“ ჟიურის წევრთა შორის იყო ქართველი რეჟისორი დეა კულუმბეგაშვილი. კოლეგებთან ერთად, მან სექციის საუკეთესო ფილმი, რეჟისორი და ჟიურის სპეციალური ჯილდოს მფლობელი გამოავლინა.

საქართველოს სტენდზე გაიმართა არაერთი მნიშვნელოვანი შეხვედრა, მათ შორის, კანის, ვენეციის, ლოკარნოს, კარლოვი ვარის, სან სებასტიანის, ანსის, კოტბუსის, თესალონიკის, ტრიესტეს, მონპელიეს, დოკლისბოასა და იჰლავას საერთაშორისო კინოფესტივალების წარმომადგენლებთან. აღსანიშნავია, რომ ვენეციის, ლოკარნოსა და სან სებასტიანის კინოფესტივალების პროგრამერები საქართველოს, ქართული ფილმების შერჩევის მიზნით, 2023 წლის აპრილში ეწვევიან.

შედგა შეხვედრები „ეროპული კინოს პოპულარიზაციის“ და ევროსაბჭოს კინოფონდ „ევრიმაჟის“ წარმომადგენლებთან. გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება ონლაინპორტალებთან Cineuropa და Festival Scope.

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მიერ „შემოქმედებითი ევროპის“ მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის - „ისტორია-კინო-ისტორია“ ფარგლებში გამართული შეხვედრებისას გადაწყდა, რომ პროექტის პარტნიორ ქვეყნებს შეუერთდება ესტონეთი (ესტონეთის კინოინსტიტუტი), უკრაინა („არტ-ჰაუს სინემა“) და ესპანეთი („პლატინო ედუკა“). ახალი პარტნიორები მარტის თვეში აქტიურად ჩაერთვებიან ახალი პროექტის საგრანტო განაცხადის შექმნის პროცესში.

ევროპულ კინობაზრობაზე სხვადასხვა საპროდიუსერო კომპანია გაეცნო საქართველოს, როგორც კინოწარმოებისთვის მიმზიდველ ქვეყანას. გაიმართა პოპულარიზაციის აქტივობები ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

ისრაელის კინოფონდის წარმომადგენლებთან შედგა საუბარი ისრაელსა და საქართველოს შორის კოპროდუქციის ორმხრივი ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. ასევე, გაიმართა შეხვედრები დოკუმენტური კინობაზრობის - Sunny Side of the Doc, კანის კინოფესტივალის პროგრამის - Producers Network, მონაცემთა ბაზის შემქმნელი კომპანიების - Moonday და Usheru, კინოთეატრის - Filmpodium და ონლაინპორტალის - Klassiki წარმომადგენლებთან, პროდიუსერებთან, დისტრიბუტორებთან და გაყიდვების აგენტებთან.

21 თებერვალს საქართველოს ეროვნულმა კინოცენტრმა გამართა ქართული წვეულება, რომელსაც ესწრებოდნენ ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალის სტუმრები.

საქართველო ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალზე

21-28 იანვარს იტალიაში გაიმართა ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი, რომელიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი პრესტიჟული ღონისძიებაა.

ფესტივალის საკონკურსო სექციაში (FEATURE FILM COMPETITION) შედგა გიორგი ოვაშვილის ფილმის "მშვნიერი ელენე" ევროპული პრემიერა. ფილმი მაყურებელმა 25 იანვარს იხილა და მას, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, გადამღები ჯგუფიც დაესწრო.

წელს, ინდუსტრიული კუთხით, ფესტივალის ე.წ. "ფოკუს ქვეყანა" იყო საქართველო. მრგვალი მაგიდის ფორმატში გამართულ შეხვედრაში, რომელსაც კავკასიის რეგიონიდან კინოცენტრებისა და სხვა კინოორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწნენ, მონაწილეობდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორის პირველი მოადგილე - მაკო ჭილაშვილი.

აღსანიშნავია, რომ 22-25 იანვარს ტრიესტეს საერთაშორისო კინოფესტივალი მასპინძლობდა ინდუსტრიულ ღონისძიებას "როდესაც აღმოსავლეთი ხვდება დასავლეთს" (When East Meets West). ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები, ვორკშოპები და ტრენინგები, რაც კინემატოგრაფისტების პროფესიულ განვითარებასა და მათი პროექტების წარმატებით განხორციელებას უწყობს ხელს. წელს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, ინდუსტრიულ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ ქართველი რეჟისორები და პროდიუსერები:

- ლაშა ხალვაში (Cold Open Inspirational Lab);
- ირინა გელაშვილი (Anima Spirit Inspirational Lab);
- ერეკლე ინაშვილი (WEMW focus Inspirational Lab);
- ქეთევან ვაშაგაშვილი (Co-production Forum);
- თორნიკე გოგრიჭიანი (Co-production Forum);
- ნინო ჩიჩუა და ანა ხაზარაძე (Last Stop Trieste);
- ანა ხაზარაძე (EWA Network Mentoring Programme)

აღსანიშნავია, რომ ანა ხაზარაძე, ნინო ჩიჩუა (პროექტი "9 თვიანი კონტრაქტი", რეჟისორი ქეთევან ვაშაგაშვილი) და თეკლა მაჭავარიანი (პროექტი "რძე და თაფლი", რეჟისორი თორნიკე გოგრიჭიანი) დაჯილდოვდნენ კანის საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამის "პროდიუსერთა ქსელის" (Producers Network) აკრედიტაციით.

„რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“

ალექსანდრე კობერიძის ფილმი „რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?“ გერმანელ კინოკრიტიკოსთა ჯილდოს მფლობელი გახდა!

დაჯილდოების ცერემონიალი ბერლინში გაიმართა, სადაც რეჟისორი საუკეთესო მხატვრული ფილმისთვის დააჯილდოვეს.

„რას ვხედავთ, როდესაც ცას ვუყურებთ?" შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით. იგი გერმანელ კინოკრიტიკოსთა ჯილდოს 4 ნომინაციაზე იყო წარდგენილი: საუკეთესო მხატვრული ფილმი, საუკეთესო ოპერატორული ნამუშევარი (ფარაზ ფეშარაკი), საუკეთესო მონტაჟი (ალექსანდრე კობერიძე) და საუკეთესო მუსიკა (გიორგი კობერიძე).

გერმანელ კინოკრიტიკოსთა ჯილდო ერთადერთი გერმანული პრემიაა, რომელსაც ქვეყანაში კინოკრიტიკოსები გასცემენ (გერმანიის კინოკრიტიკოსთა ასოციაცია). ეს ტრადიცია უკვე 60 წელზე მეტია, გრძელდება. წელს გერმანელმა კინოკრიტიკოსებმა ჯილდო 12 კატეგორიაში გასცეს.

“ლოტო”

როტერდამის საერთაშორისო კინოფესტივალიზე გაიმართა ზაზა ხალვაშის ახალი მხატვრული ფილმის - "ლოტოს" მსოფლიო პრემიერა.

"ლოტო" ზაზა ხალვაშის ბოლო ფილმია. რეჟისორი ფილმზე მუშაობის პერიოდში გარდაიცვალა.

"ლოტო" საქართველო-ლიეტუვას კოპროდუქციაა და შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

"სამურაი დასვენების ჟამს"

მექსიკაში, ვერაკრუსის მსოფლიო ფილმების ფესტივალზე, დაჯილდოვდა ლევან თუთბერიძის ფილმი "სამურაი დასვენების ჟამს".

ფილმის მაღალმხატვრული ღირებულება აღინიშნა ჟიურის მიერ და ასევე, ფილმს გადაეცა ჯილდო საუკეთესო მხატვრობისთვის (თემურ ხმალაძე, ანა კალატოზიშვილი).

"სამურაი დასვენების ჟამს" შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით.

"ფრენცის სასადილო"

უცხოპლანეტელი მზარეული ფრენცი, რომელიც ანა ჩუბინიძის ანიმაციური ფილმის გმირია, საერთაშორისო კინოფესტივალებზე მოგზაურობას განაგრძობს.

ამჯერად "ფენცის სასადილო" ამერიკასა (Providence Children's Film Festival) და კანადაში (Carrousel international du film de Rimouski) დააჯილდოვეს. ქართულ ანიმაციას უკვე 19 საერთაშორისო ჯილდო აქვს.

ფილმი შექმნილია საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით და იგი საქართველო-საფრანგეთის კოპროდუქციაა.

ელდარ შენგელაია 90 - საიუბილეო რეტროსპექტივა

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და საქართველოს ეროვნულ არქივთან თანამშრომლობით, 1-5 თებერვალს გაიმართა ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივა.

რეტროსპექტივა ეძღვნებოდა ლეგენდარული ქართველი რეჟისორის 90 წლის იუბილეს.

1 თებერვალს, 19:00 საათზე რეტროსპექტივა გაიხსნა ელდარ შენგელაიას 1968 წელს გადაღებული ერთ-ერთი გამორჩეული და ქართველი მაყურებლისთვის განსაკუთრებით საყვარელი ფილმით „არაჩვეულებრივი გამოფენა“. მომდევნო დღეებში კი ღონისძიების ფარგლებში მაყურებელმა იხილა: „თეთრი ქარავანი“ (1963), „მიქელა“ (1965), ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“ (1983), „სავარძელი“ (2017), „სამანიშვილის დედინაცვალი“ (1977), „შერეკილები“(1973) და „მრავალჟამიერი“ (ტრილოგია, 2022).

კინომემკვიდრეობაზე ზრუნვა ეროვნული კინოცენტრის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ქართული ფილმების დაბრუნების პროცესი 2016 წელს დაიწყო და დღემდე გრძელდება, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით.

ამ ეტაპზე ფილმსაცავიდან „გოსფილმოფონდი” ჩამოტანილია 51 ფილმი, აქედან აღდგენილია 49.

რეტროსპექტივა ლონდონში

ელდარ შენგელაიას ფილმების რეტროსპექტივას, 9 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით, ლონდონი მასპინძლობდა.

10 და 11 თებერვალს კინოთეატრში The Garden Cinema მაყურებელმა დიდ ეკრანზე იხილა ელდარ შენგელაიას ფილმები: „ცისფერი მთები“ და „თეთრი ქარავანი“.

კინოჩვენებების პარალელურად, 9 თებერვლიდან ლეგენდარული ქართველი რეჟისორის 5 ფილმი („ცისფერი მთები“, „თეთრი ქარავანი“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „შერეკილები“ და „სავარძელი“) განთავსდა ონლაინპლატფორმაზე „კლასიკი“.

ქართული ფილმები კინოთეატრებში!

- 19 იანვრიდან საქართველოს კინოთეატრებში გამოვიდა დათა ფირცხალავას ფილმი - “დიდი შესვენება”;
- ლევან კოღუაშვილის ფილმი "მეოთხე ბრაიტონი" შვედეთის კინოგაქირავებაში გამოვიდა. ფილმი 10 ქალაქში აჩვენეს;
- 30 მარტიდან ეკრანებზე გამოვიდა ლევან თუთბერიძის ახალი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი “სამურაი დასვენების ჟამს”.

“ისტორია-კინო-ისტორია”

27 და 28 თებერვალს, საქართველოს ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, გაიმართა პროექტის „ისტორია-კინო-ისტორია“ შემაჯამებელი ღონისძიება. კონფერენციას, ქართველ მონაწილეებთან ერთად, დაესწრნენ კინოგანათლების მიმართულებით მომუშავე ექსპერტები დიდი ბრიტანეთიდან, ესტონეთიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან და სერბეთიდან.
პროექტის ავტორებმა, პარტნიორებმა და სტუმრებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარეს.

კინოსაგანმანათლებლო პლატფორმა "ისტორია-კინო-ისტორია" შექმნილია ევროკავშირის პროგრამა "შემოქმედებითი ევროპის" ფინანსური მხარდაჭერით და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველო პროექტში ჩართულია, როგორც ლიდერი ქვეყანა.

ეროვნული კინოცენტრის პარტნიორები არიან: Cineteca Italiana (იტალია), The Film Space (დიდი ბრიტანეთი) და The National Cinèmatheque of Serbia (სერბეთი).

კინოსაგანმანათლებლო პლატფორმა "ისტორია-კინო-ისტორია" ხელმისაწვდომია პროექტის მონაწილე ყველა ქვეყნის სახელმწიფო ენაზე.

პროექტზე მუშაობა დაიწყო 2020 წლიდან. შეიქმნა საგანმანათლებლო მასალები ორი მიმართულებით: მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიის სწავლება კინოს გამოყენებით და კინოს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულების ისტორიის სწავლება.

ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების ვორქშოფი

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით, უკვე მერვედ გაიმართა ანიმაციური ფილმის პროექტის განვითარების ვორქშოფი.

ვორქშოპის მონაწილეებმა ანიმაციური ფილმების პროექტები წარუდგინეს პროდიუსერ ოლივიე კატერინსა და "საქანიმას" დამფუძნებელ მარიამ კანდელაკს.

გამარჯვებული პროექტები ანსის საერთაშორისო კინოფესტივალის კომისიამ გამოავლინა:

- მარიამ ქორთუა პროექტით "მაყურებლები" (ჯილდო - ფონტევროს ერთთვიანი რეზიდენცია);
- ია გაბუნია პროექტით "სად გაქრა დედამიწა" (ჯილდო - ანსის კინოფესტივალის აკრედიტაცია);
- ბარბარე ქორთუა პროექტით "მუზეუმი" (ჯილდო - ანიმაციური პროექტების განვითარების საერთაშორისო პლატფორმის აკრედიტაცია (CEE Animation).

ვორქშოფის ორგანიზატორია საქართველოს ანიმატორთა ასოციაცია „საქანიმა“. პარტნიორები: ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, კინოცენტრი „ქართული ფილმი-აფხაზეთი”, სტუდია "კვალი XXI" და პროგრამა "გადაიღე საქართველოში".

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

სანაპიროს #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge
www.filmcommission.ge